საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№589 2016 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 მარტის №465 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 მარტის №465 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და აღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებისა და სარეკლამო კამპანიისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს კულტურისა

და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოუყოს 25 000 000 (ოცდახუთი მილიონი) ლარი;";

ზ) განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, ამ განკარგულების მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრების ფარგლებში, საზოგადოების ინფორმირებისა და სარეკლამო კამპანიის ხარჯების დასაფინანსებლად მიმართოს არა უმეტეს 690 000 (ექვსას ოთხმოცდაათი ათასი) ლარი.".

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი